საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/140

31 აგვისტო, 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N 06-01/82 დადგენილების" საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2021-2022 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N 06-01/82 დადგენილებით განსაზღვრულ ვაკანტურ ადგილებზე **№1 დანართის** შესაბამისად.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს დისტანციურად, ელექტრონული ფოსტის - phd@bsu.edu.ge საშუალებით, 2021 წლის 6 - 8 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

3. კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (შევსებული **დანართი №2-ის შესაბამისად);**

ბ) განცხადება (შევსებული **დანართი № 3-ის შესაბამისად);**

გ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ე) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2021 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ვ) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული);

ზ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სამეცნიერო ხელმძღვანელის (სავარაუდო) თანხმობა (შევსებული **დანართი №4-ის შესაბამისად);**

ი) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

4. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდები/გასაუბრება ჩატარდეს დისტანციურად (ელექტრონულად), ZOOM -ის პლატფორმის გამოყენებით, შემდეგი განრიგით:

4.1. **მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში** (ზეპირი) - (კონკურსანტს მოეთხოვება არანაკლებ **B2** დონის ცოდნა) - **2021 წლის 9 სექტემბერი** (დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი);

4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2021 წლის 9 სექტემბერი;

4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 10 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 13 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

4.2. **მისაღები გამოცდა სპეციალობაში** (ზეპირი)- 2021 წლის 14 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი):

4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2021 წლის 14 სექტემბერი;

4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2021 წლის 15 სექტემბერი, 10^{00} დან 16^{00} მდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;

4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2021 წლის 16 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).

5. შეიქმნას დოქტორანტურაში მიმღები კომისია **№5 დანართის** შესაბამისად და დაევალოს დაამუშავოს ელექტრონული ფოსტის - phd@bsu.edu.ge საშუალებით 2021 წლის 6-8 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე პერიოდში დოქტორანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

6. დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდებზე, ZOOM -ის პლატფორმაში ჩართვისას, კონკურსანტმა უნდა იქონიოს და წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

7. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 27 სექტემბერს, ფაკულტეტების დეკანების მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე.

8. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

9. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

10. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

11. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს.

12. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს
N01-02/140 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/82 დადგენილებით
განსაზღვრული ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

№	ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა (მისაღები კონტიგენტი)
1.	ბიზნესის ადმინისტრირება	5

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა (მისაღები კონტიგენტი)
1	ლიტერატურათმცოდნეობა	2
2	ლინგვისტიკა	4
3	არქეოლოგია	1
4	ისტორია	1

საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტი

№	ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა (მისაღები კონტიგენტი)
1	ბიოლოგია	6

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს
N 01-02/140 ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

1. კანდიდატის პირადი მონაცემები	
სახელი	
გვარი	
დაბადების ადგილი, თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	
ეროვნება	
მოქალაქეობა	
პირადი ნომერი	
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ელ-ფოსტა	
ტელ. ნომერი (სახლი)	
ტელ. ნომერი (სამსახური)	
ტელ. ნომერი (მობილური)	
დასაქმების სფერო (ორგანიზაციის დასახელების, წლების მითითებით)	
მიღებული განათლება	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
სწავლის პერიოდი	
მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია)	
უცხო ენის ფლობა	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაცია, კონფერენცია, სიმპოზიუმი)	
სხვა ინფორმაცია	

3.რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი		
1.	განცხადება	
2.	სააპლიკაციო ფორმა	
3.	მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2021 წელს კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));	
4.	პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;	
5.	2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ–დისკზე;	
6.	სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).	
7.	სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია დ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა	
8.	უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	
9.	სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა;	

ვადასტურებ სააპლიკაციო ფორმაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს.

აპლიკანტის სახელი და გვარი (სრულად) .....

ხელმოწერა ..... თარიღი

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს
N 01-02/140 ბრძანების

№3 დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს,

(დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი)

ფაქტიური მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი: ----------

პირადი ნომერი: ----------

ტელ: ---------- (ბინა, მობილური)

ელ. ფოსტა: ----------

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო ბსუ-ს დოქტორანტურაში მისაღებ კონკურში ----------

---

----------ფაკულტეტის ----------

---------- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით

გთხოვთ მიიღოთ ჩემ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია.

_____ „_____“ „_____“

ხელმოწერა თარიღი

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს
N 01-02/140 ბრძანების

№4 დანართი

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა

დოქტორანტობის კანდიდატის
სახელი,გვარი:
სადოქტორო პროგრამა:----------

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია (პროექტის დასახელება, კვლევის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის განხორციელების ეტაპები):----------
---

თანხმობა ზემოაღნიშნული საკვლევი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე:

სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, დაკავებული თანამდებობა ----------

ხელმძღვანელობის კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამის დარგში (პუბლიკაციის დასახელება და გამოქვეყნების ადგილი) ----------
---;

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა ----------

სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს
N 01-02/140 ბრძანების

№5 დანართი

დოქტორანტურაში მიმღები კომისია

1. მერაბ დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარე);
2. ხათუნა გამყრელიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - წევრი;
3. მარიამ ბოლქვაძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - წევრი;
4. მაია თურმანიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;
5. თინათინ ჭიჭვეიშვილი -სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - წევრი;